



**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი**

ომის აღქმა

ქართულ საზოგადოებაში

**თბილისი
2010**

ომის აღქმა ქართულ საზოგადოებაში

მოცემული კვლევა ჩატარდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერების პროგრამული მიმართულების ფარგლებში. პროგრამა ხორციელდება ფონდ EED-ის მხარდაჭერით.

2008 წლის აგვისტოს მოვლენები გარდამტეხი მოვლენაა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. რუსეთ-საქართველოს ომი რიგით მეოთხე ძალადობრივი კონფლიქტია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. თუმცა მისი მასშტაბი თვისებრივად განსხვავებული იყო: ტერიტორიული მომცველობის თვალსაზრისით (საჰაერო თავდასხმები რუსეთის ავიაციის მხრიდან ფაქტობრივად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წარმოებდა) და პოლიტიკური კონტექსტის მხრივ (ეს იყო სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირება, რომელშიც ჩართული აღმოჩნდა ევროპის კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რითაც კონფლიქტმა საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. ცეცხლის შეწყვეტა კი მხოლოდ საერთაშორისო ჩარევით გახდა შესაძლებელი). პოლიტიკური და საერთაშორისო განზომილებების მიღმა საინტერესოდ ჩავთვალებთ, გამოგვეკვლია ომის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები და ომის გავლენა საზოგადოების აღქმებზე, განწყობებზე, წარმოგვეჩინა შიშები და მოლოდინები ომთან მიმართებაში. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ ომის პერიოდში არსებულ განწყობებზე, გრძნობებზე, შიშებსა და მოლოდინებზე. თუმცა დღეს შეიძლება ითქვას, რომ ომის მიმართ მგრძობიანობა იმდენად მაღალია საზოგადოებაში, რომ ტელეკომპანია “იმედის” იმიტირებულ “ქრონიკაში” გასულმა სიუჟეტმა საქართველოს მოსახლეობაში დიდი შიში, დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია. დღეს სახეზეა ომის მოლოდინი, განცდილის განახლების შიში. ის, თუ რა განიცადა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მოსახლეობამ ომის პერიოდში, კარგად ჩანს ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში.

„ომის აღქმა ქართულ საზოგადოებაში“ ხარისხობრივი კვლევაა. ანალიზი ფოკუს-ჯგუფების საფუძველზე განხორციელდა. კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რომლებიც ომის დროს გარკვეული საფრთხის ქვეშ იყვნენ, ან დაიბომბა რუსეთის ავიაციის მიერ. კვლევის ფარგლებში სულ 7 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა: ორი ფოკუს-ჯგუფი თბილისში, მონაწილეები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამხედრო ჟურნალისტები იყვნენ (2008 წლის სექტემბერი), ბათუმში ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები (2009 წლის მაისი), ზუგდიდის ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს ჟურნალისტებმა და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (2009 წლის ივნისი), ფოთში ასევე ჟურნალისტები მონაწილეობდნენ (2009 წლის ივნისი), გორში დევნილთა ორი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა, ერთი ჯგუფი წარმოადგენდა კარაღეთის დევნილთა დასახლებას, ხოლო მეორე – კარაღეთის – გადამწვარი და დაბრუნებული სოფლის მცხოვრებლებს (2009 წლის ივნისი, ივლისი).

კვლევა შედგება რამდენიმე თავისაგან: კონფლიქტისწინა მოლოდინები; პირველი დღეები; გრძნობები – იმედები, შიშები; ქმედებები; მედია; რუსები, ოსები, კაზაკები...

”ომის აღქმა ქართულ საზოგადოებაში“ აგვისტოს ომის შესახებ პირადი ისტორიების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა.

1. კონფლიქტისწინა მოლოდინები

აფხაზეთის ომიდან მოყოლებული აგვისტოს კონფლიქტამდე ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში სრულიად ცხადად შეიმჩნევა დაკარგული ტერიტორიების ძალის გამოყენებით დაბრუნების მომხრეთა რიცხვის შემცირების ტენდენცია. მოცემული კვლევის მონაცემები კი გვაფიქრებინებს, რომ თუ დგება ალტერნატივა – ტერიტორიების დაბრუნება თუ ძალის არგამოყენება – ტერიტორიების დაბრუნება უფრო ხშირად გადასწონის, მართალია, არსებითი პირობებით – მინიმალური მსხვერპლით, მოკლე დროში და ა.შ.

მანამდეც ზოგჯერ მიფიქრია, თუ ომი იქნება, მაშინ ვისროლოთ. ძალისმიერი სტრატეგია ერთ-ერთი გზაა, რომ პრობლემა მოავგარო. თუმცა ეს უკიდურესია (თბილისი, ♀).

ტელევიზიით გასული თავდაპირველი რედაციები სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნიდა – სამხრეთ ოსეთის პრობლემა გვარდება წარმატებით, სწრაფად და ეფექტიანად, რამაც განსაზღვრა "ემოციური დისკურსი", რომელიც სიხარულისა და აღფრთოვანების ნიშნით იყო აღბეჭდილი.

პირველად რომ გავიგე, ცხინვალში ომი დაიწყო, მე პირადად გამიხარდა – ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გადაწყდეს-მეთქი ეს პრობლემა ოდესმე. მშვიდობიანად ამდენი წლის მანძილზე არ მოგვარდა ეს კონფლიქტი. იმედი მქონდა, რომ ომით მაინც მოგვარდებოდა (♂, ზუგდიდი).

თბილისის შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ გაიხსენა, რომ 8 აგვისტოს ცნობილმა, განათლებულმა და ინტელექტუალურმა პიროვნებამ მიმდინარე მოვლენებს ასეთი კომენტარი გაუკეთა: "ცხადია, სამაჩაბლო – ესაა ჩირქოვანი წყლული, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვიშოროთ ქირურგიული გზით".

გასაგებია, მოვლენების შემდგომი განვითარების ფონზე ამგვარ გრძნობა-განწყობილებებს მალე მოეღო ბოლო. თუმცა, თავიდანვე, პოზიტიური "ემოციური დისკურსის" გვერდით ნეგატიურიც აღმოცენდა.

სანამ ტელევიზიის საშუალებით გამოცხადდებოდა საომარი ვითარების შესახებ, მანამდე გავიგე: ერთ-ერთი ახლობელი, სამხედრო, გამოიძახეს და მან გვითხრა, რომ შეიძლებოდა, რაღაც მომხდარიყო, რა თქმა უნდა, კარგი არა... (♂, ბათუმი).

სისხლისმღვრელი ომის მიუღებლობას სამოქალაქო მოსახლეობაში ადასტურებს აგრეთვე ზუგდიდის შეხვედრაზე გახსენებული ძლიერი შიში, რომელიც განიცადა ხალხმა ადგილობრივი საავადმყოფოს კაპიტალური რეკონსტრუქციის დაწყებისას 2007 წელს – გავრცელდა აზრი, რომ ეს ომისათვის მზადების გეგმის ჩარჩოებში კეთდებოდა.

ამასთან, ცალკეულმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ომის მოლოდინი ზოგადად ჰქონდათ, თუმცა ამ მოლოდინის საფუძველად ერთობ საეჭვო არგუმენტები მოჰყავდათ:

ომისწინა პერიოდში ვფიქრობდი, რომ ომი დაიწყებოდა. გეტყვით, რატომ: ძველების ნათქვამია, ბიჭების რაოდენობა როცა მატულობს, ომი გარდაუვალიაო. აფხაზეთის ომის წინაც გაიზარდა შობადობა. აგვისტოს ომამდეც ვამჩნევდი, რომ ბიჭების რაოდენობამ მოიმატა და ამიტომ მქონდა ომის დაწყების წინათგრძნობა (♂, ზუგდიდი).

თვით სამაჩაბლოს ქართული მოსახლეობის მიერ ომისწინა პერიოდში და 7-8 აგვისტოს განვითარებული მოვლენები, ძირითადად, არ იყო აღქმული, როგორც რაღაც განსაკუთრებული; ჩაითვადა, რომ ადგილი აქვს კონფლიქტის მორიგ, "რუტინულ" გამწვავებას, რაც ადრეც ხშირად ხდებოდა. გარკვეული ეჭვები გამოიწვია აგვისტოს პირველ რიცხვებში ფირმა "ელიტ-ელექტრონიქსის" მაღაზიიდან საქონლის გატანამ.

მოგვიანებით, უკვე ომის შემდეგ, ეს ფაქტი გახდა ხელისუფლების მკვეთრი კრიტიკის ერთ-ერთი საფუძველი.

ჩვენ რატომ არ გავგაფრთხილეს?! ხალხი ჯობდა თუ ის მაცივრები?! (კარალეთი, ♀).

ამგვარად, ჩვენი მონაცემების მიხედვით, ომისწინა პერიოდში საზოგადოებრივ აზრში ორი ტენდენცია იკვეთებოდა: ერთნი თვლიდნენ, რომ ხანმოკლე, მაქსიმალურად უსისხლო სამხედრო ოპერაცია ტერიტორიების დასაბრუნებლად დასაშვებია და სასურველიც კი, ხოლო მეორეთათვის საომარი მოქმედებები მხოლოდ შიშსა და უბედურებას უკავშირდებოდა. მთლიანობაში კი აგვისტოს მოვლენები სამოქალაქო მოსახლეობისათვის, ძირითადად, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

2. პირველი დღეები

საქართველოში კონფლიქტების თემაზე შესრულებულ ყველა გამოკითხვაში დომინირებს აზრი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაწყვეტა უცხოური სახელმწიფოების, პირველ რიგში რუსეთის ნებაზეა დამოკიდებული; საქართველოს მოკავშირეები – აშშ, ნატო, ევროკავშირი (თუმცა ამ უკანასკნელის ქმედითობა შედარებით ნაკლებად ფასდებოდა) გავლენას უნდა ახდენდნენ რუსეთზე, რათა აიძულონ იგი, დათანხმდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ბუნებრივია, აგვისტოს ომი ამ კონტექსტში განიხილებოდა – ყველა შეხვედრაზე იხსენებდნენ მაშინდელ განწყობას: ცხინვალზე შეტევა ვერ განხორციელდებოდა დიდი სახელმწიფოების "სანქციის" გარეშე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ "ანალიტიკურ მსჯელობებს" ძირითადად მამაკაცები მიმართავდნენ:

ვფიქრობდი, რომ რუსეთი და ამერიკა გარიგდნენ და რუსეთი გვითმობს ე.წ. სამხრეთ ოსეთს (♂, ბათუმი).

მე მაშინ მჯეროდა, რომ რუსებთან ჩვენ რაღაც გარკვეული მოლაპარაკება გექონდა ან კიდევ რაღაც შეთანხმება. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული სიგიჟე უნდა ყოფილიყო და პრინციპში არის კიდევაც ასე, სიგიჟე იყო... (ფოთი, ♂).

ასეთი რეაქცია იყო – რეალურად მოლაპარაკება არის პუტინსა და ამერიკას შორის, გადაწყვიტეს, სამაჩაბლო რომ მოგვცენ და პატარა უნდა გაიბრძოლო, რომ რაღაცა ანახო... (ფოთი, ♂).

რასაკვირველია, ამ საკითხზეც არ იყო ერთსულოვნება:

მე ვფიქრობდი, რომ ცხინვალის აღებას არ შეგვარჩენდნენ. ამიტომ ვიყავი დაძაბული და პესიმისტურად განწყობილი... (თბილისი, ♂).

შეიძლება ითქვას, რომ მოვლენათა ინტერპრეტაცია ხდებოდა პოლიტიკური სიმპათიების შესაბამისად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო მოსვლა საგანგაშო ცნობებმა ჯერ ქართული საჯარისო ფორმირებების უკან დახვევის, ხოლო შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაბომბვისა და ოკუპაციის შესახებ. ამასთან, მოვლენები ძალზე სწრაფად მისდევდა ერთმანეთს, ასე რომ, საზოგადოებრივი აზრი ვერ ასწრებდა მათ "გადამუშავებას"; თუმცა მაინც, საყოველთაო დაბნეულობისა და შფოთვის ფონზე, გამოიკვეთა ორი ვექტორი – ანტისახელისუფლებო და ანტირუსული, ამასთან, ამ ნიშნით საზოგადოების დანაწილება მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემთხვეოდა ომისწინა პერიოდში არსებულ დაპირისპირებას ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეთა შორის. ეს განსაკუთრებით ეხება ანტირუსულ "ბანაკს", სადაც ოპოზიციის ბევრ თანამგრძობსაც შეხედებოდა. თუმცა რადიკალურ-ოპოზიციურად განწყობილნი ხელისუფლებასა და პირადად მ. სააკაშვილს მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ და პასუხისმგებლობას მომხდარისათვის მთლიანად აკისრებდნენ:

მოგვიანებით, უკვე ომის შემდეგ, ეს ფაქტი გახდა ხელისუფლების მკვეთრი კრიტიკის ერთ-ერთი საფუძველი.

ჩვენ რატომ არ ვაგვაფრთხილეს?! ხალხი ჯობდა თუ ის მაცივრები?! (კარალეთი, ♀).

ამგვარად, ჩვენი მონაცემების მიხედვით, ომისწინა პერიოდში საზოგადოებრივ აზრში ორი ტენდენცია იკვეთებოდა: ერთნი თვლიდნენ, რომ ხანმოკლე, მაქსიმალურად უსისხლო სამხედრო ოპერაცია ტერიტორიების დასაბრუნებლად დასაშვებია და სასურველიც კი, ხოლო მეორეთათვის საომარი მოქმედებები მხოლოდ შიშსა და უბედურებას უკავშირდებოდა. მთლიანობაში კი აგვისტოს მოვლენები სამოქალაქო მოსახლეობისათვის, ძირითადად, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

2. პირველი დღეები

საქართველოში კონფლიქტების თემაზე შესრულებულ ყველა გამოკითხვაში დომინირებს აზრი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაწყვეტა უცხოური სახელმწიფოების, პირველ რიგში რუსეთის ნებაზეა დამოკიდებული; საქართველოს მოკავშირეები – აშშ, ნატო, ევროკავშირი (თუმცა ამ უკანასკნელის ქმედითობა შედარებით ნაკლებად ფასდებოდა) გავლენას უნდა ახდენდნენ რუსეთზე, რათა აიძულონ იგი, დათანხმდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ბუნებრივია, აგვისტოს ომი ამ კონტექსტში განიხილებოდა – ყველა შეხვედრაზე იხსენებდნენ მაშინდელ განწყობას: ცხინვალზე შეტევა ვერ განხორციელდებოდა დიდი სახელმწიფოების "სანქციის" გარეშე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ "ანალიტიკურ მსჯელობებს" ძირითადად მამაკაცები მიმართავდნენ:

ვეფქრობდი, რომ რუსეთი და ამერიკა გარიგდნენ და რუსეთი გვითმობს ე.წ. სამხრეთ ოსეთს (♂, ბათუმი).

მე მაშინ მჯეროდა, რომ რუსებთან ჩვენ რაღაც გარკვეული მოლაპარაკება გვექონდა ან კიდევ რაღაც შეთანხმება. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული სიგიჟე უნდა ყოფილიყო და პრინციპში არის კიდევაც ასე, სიგიჟე იყო... (ფოთი, ♂).

ასეთი რეაქცია იყო – რეალურად მოლაპარაკება არის პუტინსა და ამერიკას შორის, გადაწყვეტეს, სამაჩაბლო რომ მოგვეცენ და პატარა უნდა გაიბრძოლო, რომ რაღაცა ანახო... (ფოთი, ♂).

რასაკვირველია, ამ საკითხზეც არ იყო ერთსულოვნება:

მე ვფიქრობდი, რომ ცხინვალის აღებას არ შეგვარჩენდნენ. ამიტომ ვიყავი დაძაბული და პესიმისტურად განწყობილი... (თბილისი, ♂).

შეიძლება ითქვას, რომ მოვლენათა ინტერპრეტაცია ხდებოდა პოლიტიკური სიმპათიების შესაბამისად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო მოსვლა საგანგაშო ცნობებმა ჯერ ქართული საჯარისო ფორმირებების უკან დახვევის, ხოლო შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაბომბვისა და ოკუპაციის შესახებ. ამასთან, მოვლენები ძალზე სწრაფად მისდევდა ერთმანეთს, ასე რომ, საზოგადოებრივი აზრი ვერ ასწრებდა მათ "გადამუშავებას"; თუმცა მაინც, საყოველთაო დაბნეულობისა და შფოთვის ფონზე, გამოიკვეთა ორი ვექტორი – ანტისახელისუფლებო და ანტირუსული, ამასთან, ამ ნიშნით საზოგადოების დანაწილება მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემთხვეოდა ომისწინა პერიოდში არსებულ დაპირისპირებას ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეთა შორის. ეს განსაკუთრებით ეხება ანტირუსულ "ბანაკს", სადაც ოპოზიციის ბევრ თანამგრძობსაც შეხვდებოდით. თუმცა რადიკალურ-ოპოზიციურად განწყობილნი ხელისუფლებასა და პირადად მ. სააკაშვილს მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ და პასუხისმგებლობას მომხდარისათვის მთლიანად აკისრებდნენ:

“ანტიმიშისტები“ ამბობდნენ, რომ ჩვენებმა დაიწყეს და ყველაფერი ჩვენი მხარის ბრალია; პირველი ბომბები რომ ჩამოვარდა, ჩვენი ჩამოვადებულია და ა.შ. (თბილისი, ♂).

თუმცა, ჩვენი მასალის მიხედვით, ხელისუფლების მიმართ უფრო სხვა ტიპის ბრალდებები ჭარბობდა:

საშინელი დაუცველობის განცდა მქონდა. საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი დაკარგეთ... (ზუგდიდი, ♀).

ძირითადად პანიკა არაინფორმირებულობამ გამოიწვია, ადამიანებმა არ იცოდნენ, როგორ დაეცვათ თავი, არ იცოდნენ, ვიყავით თუ არა საომარ ვითარებაში და, ფაქტობრივად, იყვნენ დაუცველები (♀, ბათუმი).

მქონდა პროტესტი, რატომ არ იცავს ხელისუფლება მოსახლეობას? რატომ დასეირნობს რუსის “ბეტვერები” ზუგდიდის ქუჩებში? (♀, ბათუმი).

უძღურების შეგრძნება იყო, პრაქტიკულად, იმ წუთას ის განცდა მქონდა, როცა ფოთი დაიბომბა, რომ სახელმწიფო არ არსებობს (ფოთი, ♂).

ოკუპაციის დაწყების ყველაზე დრამატული მომენტები ხშირად ასოცირდება ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლების სატელევიზიო გამოსვლებთან:

ლომაიას სახე რომ დავინახე 9 აგვისტოს, მივხვდი, რომ ყველაფერი დაკარგეთ, 8 აგვისტოს იგივე ლომაია გვეუბნებოდა, რომ ყველაფერი კარგად იყო (♀, ბათუმი).

თავდაცვის მინისტრისგან რომ ვისმენდით ინფორმაციას, სრულიად წაშლილი სახე პქონდა, ახლა ჩამოვედი გორიდან და ვერც კი თქვა, რა ხდებოდა... (თბილისი, ♀).

ბევრმა მონაწილემ გაიხსენა მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებამ:

ბაქრაძის გამოსვლა იყო ემოციური და სასწაულად არაპოლიტიკოსის განცხადება... ვგრძნობდი, რომ უსუსური ვარ, არაფერი არ ვარ და იგივე მესმის ადამიანისგან, რომლისგანაც რაიმე სანუგეშოს ველით ყველა (თბილისი, ♀).

შიშის გრძნობა ბაქრაძის განცხადების შემდეგ გაჩნდა. დანა-ჩანგლით უნდა ვიომოთო – მაშინ წასულა ჩვენი საქმე... (ზუგდიდი, ♀).

როცა პარლამენტის თავმჯდომარე გამოდის და გვეუბნება, რაც გინდა, ის გააკეთეთ – გინდა ნაჯახით დახვდით, გინდა დანით, ოღონდ თქვენს თავს უშველეთ როგორმე, იქ რომ დაუცველობის განცდა გასჩენოდა ვინმეს, რატომ გიკვირთ? (ფოთი, ♀).

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხსენებულ განცხადებაზე რეაქცია არ იყო ცალსახა:

ჩვენ, გაღებებმა, ვიცით, რა არის იძულებით გაქცევა. მე, პირადად, მომეწონა ბაქრაძის განცხადება. კარგი იქნებოდა, ჩვენ ვალში მაშინ თავის დროზე ვინმეს გავეფრთხილებინეთ წინასწარ. მაშინ საერთოდ არავინ არაფერი გვითხრა. ბაქრაძის განცხადების შემდეგ უფრო მობილიზებულები გაუხდით (ზუგდიდი, ♂).

დადებითად შეფასდა ზოგიერთი სხვა გამოსვლაც:

ძალიან კარგი და დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ალასანიას გამოსვლამ უშიშროების საბჭოში, გაეროში. სიამაყე დამუფლდა, რომ ისეთი ადამიანი გვყავს, რომელიც ძალიან კარგ დონეზე, პროფესიონალურად, მსოფლიოს აწვდის ინფორმაციას საქართველოზე (თბილისი, ♀).

ამ პერიოდში ხელისუფლების მიერ ორგანიზებული კონცერტებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მიმართ დამოკიდებულება ძირითადად უარყოფითია, თუმცა აგრეთვე არაერთმნიშვნელოვანი. საინტერესოა, აგრეთვე, რომ გაღიზიანების ობიექტად სახელდება ხოლმე არა მარტო ხელისუფლება, არამედ თავყრილობებში მონაწილე ხალხიც.

მაშინ, როცა მოსახლეობამ არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და რუსთაველის გამზირზე კონცერტი და ტაშ-ფანდური იყო, ეს იყო გამაღიზიანებელი, როგორც ხალხისთვის, ისე ჩემთვის (ფოთი, ♀).

მე ზესტაფონში ვიყავი, იქ ახალგაზრდა ბიჭებმა, სამხედროები იყვნენ, მგონი, ეს კონცერტი რომ დაინახეს, ტელევიზორი დაამტვრიეს (ზუგდიდი, ♂).

ორ მიტინგზე ვიყავი და გამაოგნა ამ ხალხმა, ამ გამარჯვების ყიჟინამ. პირველად ცხოვრებაში მომიხდა, მაგრად მეგინებინა (თბილისი, ♀).

იყო სიტუაციები, რომელმაც მე შემზარა, ბულვარში ტურისტების დიდი რაოდენობა ისე ატარებდა ღროს, სულ ფეხებზე კეილათ, ქვეყანაში რა ხდებოდა. როდესაც შენს ქვეყანას ბომბავენ, დისკოთეკაზე წასვლა, რბილად რომ ვთქვათ, უზრდელობა იყო (♀, ბათუმი).

იყო აგრესია საკუთარი ერის მიმართ. იქ ქალებს აუპატიურებდნენ და აქ ტაშ-ფანდური გაიმართა (ზუგდიდი, ♂).

დიალოგის ფრაგმენტი ზუგდიდის შეხვედრიდან:

♂: - დიდი აგრესია მქონდა თბილისის კონცერტების მიმართ. იქ ბევრი გასართობად იყო მისული.

♀: - ვერ დაგეთანხმებით, ბევრი იქ სწორი განწყობით მივიდა. ეს მიტინგები საჭირო იყო თუ არა, ეს სხვა საკითხია. მე რომ შემძლებოდა, მეც მივიდოდი.

♂: - ეს ინდივიდუალურია.

♀: - არა მგონია, იმ დღეს ვინმეს გართობაზე ეფიქრა. მთელი ქვეყანა იყო დემორალიზებული. მე, პირიქით, ამაყი ვიყავი, ამდენი ქვეყნის პრეზიდენტი რომ დავინახე. მე ეს არ აღმიქვია კონცერტად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება ძირითადად ნაკარნახევი იყო დაუცველობის შეგრძნებით, სრული ფსიქოლოგიური მოუძნადებლობით იმისადმი, რაც მოხდა, ხელისუფლების მიმართ გაცრუებული მოლოდინებით. ამასთან, სწრაფი სამხედრო დამარცხება ხან ხელისუფლებას ბრალდება:

იმის იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ხელისუფლება ასე ბრყვეულად, უაზროდ ომს არ დაიწყებდა... (ზუგდიდი, ♂).

კონფლიქტში არ არსებობს აბსოლუტურად მართალი და მტყუანი. როგორც წესი, ორივე დამნაშავეა რაღაც დოზით. ამას უნდა მიხედუ, ალბათ, როცა იწყებ ომს. შენი მოსახლეობაც რაღაც დონეზე უნდა იყო მზად. როცა ქვეყანა ომში ერთვება, მოქალაქე მზად უნდა იყოს (თბილისი, ♂).

...ხან რუსეთს:

მთელი ჩვენი ხელისუფლება იყო მოუმზადებელი და ეს მაძლევს იმის თქმის სითამამეს, რომ ჩვენ არ დაგვიწყია ომი, ასე რომ ყოფილიყო, სტრატეგია ექნებოდა ხელისუფლებას (♀, ბათუმი).

ამგვარი განწყობების მქონე ადამიანები, როგორც ჩვენი მასალა უჩვენებს, რუსეთს აღიქვამდნენ, როგორც რაღაც სტიქიურ მოვლენას, წყალდიდობის მსგავსს, რომელიც სამართლიანობისა თუ ზნეობის მიღმა დგას; მისი “აბობოქრების” შემთხვევაში შეიძლება რაღაც თავდაცვითი ზომები მიიღო (რომლებიც, ამ “ფილოსოფიის” მიხედვით, არ მიიღო ხელისუფლებამ), მაგრამ წინ ვერ აღუდგები.

ჩემთვის რუსეთი წარმოჩინდა ისეთ ქვეყნად, რომლისაც ყველას ეშინია, აბსოლუტურად ყველას მთელ პლანეტაზე. ამ ომით რუსეთმა მოახდინა თავისი ძალების დემონსტრირება მთელი მსოფლიოს წინაშე (ზუგდიდი, ♂).

ფიგურალურად, ამგვარი პოზიცია შეიძლება გამოიხატოს ი. კრილოვის ერთ-ერთი იგავის პერსონაჟის, თავის სიტყვებით: “კატაზე ძლიერი მხეცი არ არსებობს” («Сильнее кошки зверя нет»).

როგორც ჩანს, რუსეთის ქმედებების გამო აღშფოთება დაეუფლა შედარებით მაღალი დონის განათლების მქონე წრეების წარმომადგენლებს, რომელთათვის მეტ-ნაკლებად ნაცნობია ისეთი ცნებები, როგორებიცაა საერთაშორისო სამართალი, სუვერენიტეტი და ა.შ. (თუმცა, რასაკვირველია, არა მარტო. აი, ერთი დევნილი ქალის რეპლიკა: ახლაც იძახიან, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავაწყაროთო, მაგრამ როგორ უნდა დავაწყაროთ, იმ დედებს რა უნდა ეუთხრათ, ვისაც ორი-სამი შვილი ჰყავთ დაღუპული... არა, მე, მაგალითად, დიდი წინააღმდეგი ვარ რუსეთთან ურთიერთობის).

მე თვითონ ჩამოყვალბდი, როგორც აშკარად გამოხატული “ანტირუსისტი”, როდესაც გადმოვიდნენ გორისკენ, გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან (თბილისი, ♂).

რუსეთის არხების ყურება იყო კატასტროფა. მივხვდი, რომ საქართველოს თემაზე ცალკე ტრენინგი აქვთ გავლილი, საქართველოს შესახებ ინფორმაცია როგორ უნდა გააშუქონ. ეს იყო დადგმული სცენები ორი წამყვანით, ჩვეულებრივი წამყვანებით, რომლებიც სარკასტული ღიმილებით და ფრაზეოლოგიურადაც სიძულვილს ნერგავდნენ. მარტო ლეონტიევი საუბრობდა ადრე ასე, ახლა კი ყველამ დაიწყო (თბილისი, ♀).

მე, პირადად, როგორი განწყობა მაქვს: პირველი არის ზიზღის გრძნობა, თუ შეიძლება ასე ითქვას... ამ შემთხვევაში გულწრფელი ვარ... მანამდე ამ ხალხის მიმართ სულ სხვანაირი დამოკიდებულება მქონდა... არ იქნება მართალი, რომ მთელი ერი ვლანძღოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსების ძალიან დიდი პროცენტი ამართლებდა რუსეთის ხელისუფლების მოქმედებას საქართველოში... (ფოთი, ♀).

ისეთი ზიზღი მქონდა რუსული ხმის ვაგონებისას... ბუნებრივია ორ-სამ დღეში ეს დაიძლია – ერი რა შუაშია... (ფოთი, ♀).

რუსები რომ აქ იდგნენ, ღირსებაშეღახულად ვგრძნობდი თავს და, ალბათ, უმრავლესობა ასე ფიქრობდა. შემოვდივარ ჩემს ქალაქში და დგას რუსის ჯარი, ოკუპირებული ვარ... და როცა ესენი ვადიოდნენ, იყო საზეიმო განწყობილება... ჩემთვის რუსების შემოსვლა იყო დიდი ტრაგედია და ტკივილი... (ფოთი, ♂).

შიშმა და სასოწარკვეთილებამ პიკს მიაღწია 11 აგვისტოს, როდესაც რუსული ტანკები თბილისისკენ დაიძრნენ.

ყველაზე საშინელი ღამე იყო 11 აგვისტო, როდესაც ტანკები დაიძრა და მოადგა გორს, მერე კი წამოვიდა თბილისისკენ. საღამო იყო და მივხვდი, რომ უკვე თბილისში

აპირებდნენ შემოსვლას. სახლში ჯდომა ნამდვილად არ შემეძლო და ვიფიქრე, ალბათ, მთელი ქალაქი იქნებოდა გასული რუსთაველზე იმის მოლოდინში, რომ არ შემოეშვათ და ვვარაუდობდი, რაღაც 9 აპრილის მსგავსი იქნებოდა. გავედი რუსთაველზე, ღამის თერთმეტი იყო, მარტო მე და რამდენიმე მეგობარი, სხვა არავინ არ იყო. "პოპული" იყო გატენილი ხალხით, ყიდულობდნენ პროდუქტებს, მანქანები გადიოდნენ ქალაქიდან, ტაქსები არ მოძრაობდა საერთოდ (თბილისი, ♀).

იმ დღეს (11 აგვისტოს – რედ.) იყო საშინელი დაძაბულობა; შემოსევა იყო მაღაზიებზე, გაიტანეს ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა (თბილისი, ♀).

11 აგვისტოს შემდეგ, როცა ცხადი გახდა, რომ რუსების თბილისზე შეტევა, სულ ცოტა, გადაიღო მაინც, დაძაბულობა ოდნავ შენედა, მოსახლეობის ნაწილს გაუჩნდა იმედი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელები საერთო ძალისხმევით შეახერხებენ აგრესორს; განსაკუთრებით ეს ეხებოდა აშშ-სა და ნატოს.

ყოველი გამოსვლა, ჯერ კონდოლიზა რაისის, მერე ბუშის და ევროპელების, დიდი შეგება იყო. გარდა ამისა, მქონდა ბოროტი სიხარულის გრძნობა და ახლაც მაქვს, როცა აცხადებდნენ რუსეთის დანაკარგებს, როცა აგორდა ანტირუსული მსოფლიო ტალღა. მქონდა უდიდესი ნდობა ხელშეკრულებისა ცეცხლის შეწყვეტის და რუსების გასვლის შესახებ, რაც, ალბათ, ნევროტული რეაქცია იყო. ხელშეკრულება რომ დაიდო, გადავწყვიტე, რომ ყველაფერი მორჩა... შემდეგ კი უმძიმეს დეპრესიაში ჩავვარდი (თბილისი, ♂).

თავს ვიიმედებდი ნატოს ქვეყნის სიახლოვეთ, სხვათა შორის, სოფელ მერისში მომდგარი იყო ნატოს ჯარიო, ამბობენ ჩემი ახლობლები (♀, ბათუმი).

სიტუაცია რომ დაიძაბა, ვფიქრობდი, რომ არ არსებობს, დასავლეთი არ მიგვატოვებს, რაღაცას იზამს. შეეწინააღმდეგება რუსეთს, ასე არ გაგვწირავს და მოგვხელავს (თბილისი, ♀).

- მე უფრო ამერიკის იმედი მქონდა. მეგონა, უფრო ამერიკის შეეშინდებოდა რუსეთს.
- მე კი უფრო ევროპის იმედი მქონდა, რადგან ამერიკა ისედაც ხშირად არის ჩართული კონფლიქტებში (ზუგდიდი, ♂).

ამერიკის მოლოდინი იყო; როცა პირველი ხომალდი ფოთში შემოვიდა, ყველას ეგონა, რომ ომი დამთავრდა. ყველას ჰქონდა მოლოდინი, იქნებ, ამერიკა დაგვეხმაროს. ამას ვერ ვიტყვი სარკოზიზე. ცნობადობის მომენტიც იყო – სარკოზი და მისი ქვეყანა ნაკლებად დაახლოებულია საქართველოსთან (ფოთი, ♂).

მე, პირადად, იმის იმედი მქონდა, რომ დასავლეთი დაგვეხმარებოდა, იმ ტერიტორიებზე მაინც შეგვენარჩუნებინა იურისდიქცია, რომლებიც ამ ომის დროს დაიკავეს რუსებმა, რაც ასეც მოხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ახალგორში ან კოდორში. ევროპამ მოახერხა ის, რომ რუსეთი თბილისში არ შემოსულიყო (ზუგდიდი, ♂).

ამასთან, დასავლეთის იმედი ყველას არ ჰქონდა:

არც ამერიკის, არც ევროპის იმედი არ გვქონდა, რადგან დიდი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ პატარა ქვეყნისთვის არავინ არ წამოიწიებს დიდ ომს (ზუგდიდი, ♂).

ჩემთვის ძალიან დამამცირებელი იყო, სარკოზის ჩამოსვლის დროს მისული ხალხი რომ გაიძახოდა მის სახელს. ხომ აშკარა იყო, რომ ისინი ჩვენთვის არაფრის გამკეთებლები არ იყვნენ. ამიტომ, მე ვფიქრობ, შეიძლებოდა რაიმე სხვა შეძახილებით დაეხვედროდით მათ ან სხვა რამ აქტივობის გამოვლენა. მე ვფიქრობ, რომ ევროპის ჩარევის შედეგად გარკვეული ბერკეტები კი ამუშავდა, მაგრამ სინამდვილეში რაც უნდა გააკეთებულიყო,

როგორც უნდა გაკეთებულიყო, ისე არ გაკეთდა. მგონია, რომ სარკოზისა და ევროპის აღშფოთება ცეცხლის შეწყვეტასთან არანაირ შეხებაში არ არის. 90 პროცენტით დარწმუნებული ვარ ამაში (ზუგდიდი, ♀).

რადაც მომენტში შეგუებული ვიყავით და უნდა ვყოფილიყავით იმას, რომ რუსი ამ შემთხვევაში იყო დამპყრობელი და ჩვენ ვიყავით დაპყრობილი ქვეყნის შვილები (ფოთი, ♂).

მე, პირადად, არავისი იმედი არ მქონია. უბრალოდ მწამდა, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, საქართველო მაინც გადაარჩებოდა და 10 ან 20 წლის შემდეგ საქართველოს დროშა აუცილებლად აფრიალდებოდა (ზუგდიდი, ♂).

გრძნობები – იმედები, შიშები...

შეხვედრების მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმ დრამატულ დღეებში განცდილ იმედებსა და შიშებზე.

ერთი შევა იყო, როდესაც საინფორმაციო გამოშვებების სამსახური ერთსაათიანი გამოშვებებიდან გადავიდა 3-საათიან შუალედებზე (თბილისი, ♂).

ჭექა-ქუხილი აღიქვამს როგორც დაბომბვა, მე დავრეკე ტელევიზიაში და მითხრეს, არა, ქალბატონო, წვიმსო (ბათუმი, ♀).

საინტერესო ფსიქოლოგიური მეტამორფოზის მაგალითები:

პირველად, 7 აგვისტოს რომ დაიწყო და რომ გავიგე, ქართველები ოსებს უტყვენ, საწყლებს, აგელდი ძალიან და ვიძახდი: “როგორ შეიძლება? შევწყვიტოთ ეს აგრესია!” ვიყავი აბსოლუტური პაციფისტი. არანაირი მიწა არ მიღირს-მეთქი სისხლის ფასად. შემდეგ უკვე, როცა რუსეთის ჯარები შემოვიდნენ და გამოსცდნენ უკვე ცხინვალსაც და გორსაც, მაშინვე შევიცვალე, ახლა ეროვნული წინააღმდეგობა უნდა შევქმნათ-მეთქი; ბოლოს იქამდე მივედი, რომ შემოვლენ, ბომბები უნდა ვესროლოთ-მეთქი. ტერორისტად გადავიქციე ზუსტად 3-4 დღეში (თბილისი, ♀).

პირველად რომ გავიგე, ცხინვალში ომი დაიწყო, მე, პირადად, გამიხარდა – ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გადაწყდეს-მეთქი ეს პრობლემა ოდესმე. მშვიდობიანად ამდენი წლის მანძილზე არ მოგვარდა ეს კონფლიქტი. იმედი მქონდა, რომ ომით მაინც მოგვარდებოდა. არ მეგონა, თუ რუსეთი ასე ჩაეროდა. ვფიქრობდი, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით. პირველ დღეებში მიხაროდა, შემდეგ, როცა სიტუაცია გაირკვა, უმწეობის განცდა გამიჩნდა და დავეფიქრდი ჩვენი თაობის შეცდომებზე. მივხვდი, რომ ომი შეცდომა იყო (ზუგდიდი, ♂).

ბუნებრივია, საყოველთაო შფოთვის, დაბნეულობისა და ინფორმაციული დეფიციტის პირობებში სწრაფად ვრცელდებოდა ათასგვარი ხმა და ჭორი, ზოგი იმედის, ზოგიც შიშის მომგვრელი; ზოგი მეტ-ნაკლებად საღი გონებით ნაკარნახევი, ზოგიც ირაციონალური. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

იყო მრავალნაირი შიში, მაგალითად, მობილური უნდა გამორთო, რადგან შეიძლება ბომბი დაგეცესო... იყო ინფორმაცია, რომ თუ თბილისს დაბომბავდნენ, რა თქმა უნდა, დაბომბავდნენ ცენტრალურ ადგილებს, ანუ ანძას, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას, კანცელარიას და ა.შ. ხალხში იყო გავრცელებული ასეთი ჭორი (თბილისი, ♀).

თან უკვე პანიკა იყო, რომ ჯარისკაცის ცოლებს ემუქრებიან... (კარაღეთი, ♀).

ინფორმაცია მოვიდა, თითქოს პოსპიტალი უნდა დაებომბათ და ყველანი ვეხმარებოდით, რომ გაგვეხიზნა დაჭრილები; სასაფლაოა წინ და იქ წვებოდნენ, ზვიდან რომ არ დაენახათ (ფოთი, ♀).

ითქვა, რომ 2-3 დღის წინ ქობულეთშიც იყვნენ შემოსულები თურქეთის ტანკები, მერე რაღაც გარანტიები მიიღეს რუსეთისგანო, რომ აჭარასთან და საზღვართან არაფერი იქნებოდა და ისევ უკან გავიდნენ (თბილისი, ♀).

...წალკის გზაზე დაიწყო მაროდორობა და ამ საქმიანობას ძირითადად ეწეოდნენ სომხები და ბერძნები (თბილისი, ♀).

ერთხელ მოვიდა ინფორმაცია, კომბინატი დაიბომბაო (ზუგდიდის ქალაქის კომბინატი და მიმდებარე უბანი - რედ.), მერე გაირკვა, რომ თურმე კოპიტნარი დაუბომბავთ (ზუგდიდი, ♀).

რუსები საჩხერეში რომ შევიდნენო, საჩხერის გამგებელი შეხვდა ოფიცრობას, უთხრა: "ომი-მშვიდობა მე არ ვიცი, სტუმარი ღვთისაა". წაიყვანა ისინი სახლში, ორი დღის განმავლობაში ასმევდა და ამ დროის მანძილზე გაიტანეს მთელი ბაზა, გადაამალეს. მეორე იყო ის, რომ ნათესავმა დარეკაო ქუთაისიდან... რომ მოკლულ ქართველებს შორის იპოვეს რამდენიმე ზანგიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამერიკელი ინსტრუქტორები ჰყავდათ (თბილისი, ♂).

ჭორი იყო, კახა ბენდუქიძეა დაჭერილიო, ხაინდრაჟა, ბეჟუაშვილიც. გენერლებიც იყვნენ კიდევ დაჭერილებიო, ის ჭორი ახლაც დადის, რომ სააკაშვილი თავს იკლავდა... "საერთაშორისო" ჭორებიც იყო, რომ პუტინს და მედვედევს განხეთქილება ჰქონდათ (თბილისი, ♀).

ბევრს ღვთისმშობლის სჯეროდა. ბევრგან მხმენია, რომ საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, დაიცავსო უფალი (ზუგდიდი, ♀).

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა საკუთარი რეგიონის თუ ქალაქის მნიშვნელობის გაზვიადება და აგრეთვე წარმოდგენები ფარული გარიგებების შესახებ:

იყო ჭორი, რომ სააკაშვილმა დათმო კოდორი ზუგდიდის სანაცვლოდო... (ზუგდიდი, ♂).

ბათუმი იმიტომ არ დაბომბესო, რომ აბაშიძემ სთხოვა, ნუ დაბომბავთო (♀, ბათუმი).

როცა ფოთი დაიბომბა, მეგობარმა ბათუმიდან დამირეკა, აქ ჩამოდიო. იმათ ჰქონდათ აბსოლუტური რწმენა შინაგანი, რომ აჭარას არავინ არ დაემუქრება, რადგან ასლანი ჩააწივებს, რომ არ გააფუჭებინოს აჭარა... (ფოთი, ♂).

აქ ვაისმოდა: "გადაგვარჩინა მ. ხ.-მ", (ზუგდიდელი ბიზნესმენი, მოსკოვში მცხოვრები - რედ.) "გადაგვარჩინა ვილაცამ", "აი მ. ხ.-მ დარეკა..." ბევრს სჯეროდა, რომ მ. ხ.-ს დონეზე წყდებოდა ომის ამბავი (ზუგდიდი, ♂).

მე შევესწარი: ერთი გენერალი იყო, რომელიც აქ გაიზარდა, მესამე საშუალო სკოლა დაამთავრა, ის მივიდა სკოლაში, კედლებს კოცნიდა, დირექტორი მოიკითხა. ამიტომაც დაისაჯა, რუსეთის ციხეში ზის ერის დალატისთვის... (ფოთი, ♀).

ფსიქოლოგია

ჩვენს მასალებში ბევრი მოიპოვება კარგად ცნობილი სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებების ილუსტრაციები. ს. შახტერმა ჯერ კიდევ 1959 წელს ექსპერიმენტულად აჩვენა, რომ შიშის პირობებში ადამიანს უჩნდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის, ერთად ყოფნის სურვილი, ანუ ფსიქოლოგიური ტერმინოლოგიით, ამ დროს ძლიერდება აფილიაციის ტენდენცია. ლ. ფესტინგერის სოციალური შედარების თეორიის მიხედვით კი, აფილიაციის ტენდენციას ზრდის არა საკუთრივ შიში, არამედ ნებისმიერი უჩვეულო სიტუაცია - ადამიანი ცდილობს, სხვებზე დაკვირვების საფუძველზე

გამომიშავოს ქცევის სტრატეგია; ამიტომ უჩვეულო სიტუაციაში იგი მიიღწევის ურთიერთობისაკენ არა ნებისმიერ ადამიანებთან, არამედ ისეთებთან, რომლებიც მისნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან, ამასთან, არჩევს ლიდერს, ავტორიტეტს. შემდგომ გამოკვლევებში აღმოჩნდა, რომ ორივე მიდგომა სწორია – აფილიაციის ტენდენციას აძლიერებს როგორც შიში თავისთავად (ზოგ სიტუაციებში), ისე უჩვეულო სიტუაციაში მოხვედრა. ჩვენს შემთხვევაში იყო შიშიც და უჩვეულო სიტუაციაც (ომის მდგომარეობა, დამეთანხმებით, ჩვეულ სიტუაციათა რიცხვს არ განეკუთვნება). შესაბამისად, შეხვედრების მონაწილეებმა გაიხსენეს არაერთი ეპიზოდი, რომელიც თავსდება როგორც შახტერის, ისე ფესტინგერის, უფრო ხშირად კი ორივეს სქემებში:

მეზობლებთან, რომელთაც სხვა დროს მარტო გამარჯობას ვეუბნებოდი, ჩახუტებულები ვიყავით ერთ ეზოში; ჭამითაც ერთად ვჭამდით... (კარალეთი, ♀).

დარეკა ერთმა ნათესავმა და მითხრა: “მოდი, ერთად ვიყოთ, მანქანაში ჩავსხდეთ, ვიაროთ ქალაქში, ოღონდ ერთად ვიყოთ!” (თბილისი, ♂).

იმ დღეებში ფოთში იყო გრძნობა, რომ ყველა ერთად უნდა ვიყოთ – ნათესავი, მეზობელი, ახლობელი... ამან შეიძლება ფსიქოლოგიურად გადაგვატანინა ეს მძიმე დღეები... (ფოთი, ♀).

გორი რომ იბომბებოდა, დამირეკა ერთმა ნაცნობმა ვოვომ, რომელიც დიდი ხანია არ მყავდა ნანახი, ალბათ 3-4 წელი კონტაქტი არ გვქონია, პოდა, საღმის გარეშე, გაყინული ხმით მეკითხება: “რა არის, მორჩა ყველაფერი ამ ქვეყანაში?” მე შევეცადე, დამემშვიდებინე, ცოტა დაწინარდა... მერე კიდევ დამირეკა და მითხრა, კიდევ კარგი, მაშინ შენ დაგელაპარაკეო... (თბილისი, ♂).

არ ვიცოდი, ზუსტად სად წავსულიყავი... თუ საპირისპირო მიმართულებით მიმავალ მანქანას დავინახავდი, მეც მანქანის მოტრიალება და უკან მობრუნება მიხდებოდა... (ზუგდიდი, ♀).

საერთოდ, ჩვენი მონაცემები სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მდიდარ მასალას იძლევა. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

ექსტრემალურ სიტუაციაზე რეაქციები:

იმ მომენტში, როცა ქალაქი დაიბომბა, მეგობრები ერთად ვისხედით და ვსაუბრობდით. ყველას ჰქონდა სხვადასხვა რეაქცია: ზოგმა ლოცვა დაიწყო, ზოგი ლოგინის ქვეშ შეძვრა და ამას ყველაფერს რომ ვუყურე, ამიტყდა ისტერიული სიცილი... (ფოთი, ♀).

ე.წ. “გადამისამართებული აქტივობა“ (როცა ადამიანი ძლიერი სტრესის პირობებში იმყოფება და, ამასთან, უძლურია გაუმკლავდეს სტრესის მიზეზს (ჩვენს შემთხვევაში რუსეთის შემოჭრას), იგი ხშირად მიმართავს რაღაცა სხვა, ნეიტრალურ ქცევას):

II აგვისტოს მთელი ღამე სახლს ვალაგებდით და მერე გავიგეთ, რომ ძალიან ბევრი აკეთებდა ამას იმ მომენტში. ჩვენთვის ეს განტვირთვა იყო რაღაცნაირად... (თბილისი, ♀).

ინფორმაციის სელექციური აღქმა:

ჩემ სასარგებლოდ რაც იყო, მჯეროდა იმის, რაც არ იყო, მიმაჩნდა, რომ რუსეთის გადმოცემულია... (თბილისი, ♂).

სიტუაციის ინტერპრეტაციის ცდა არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში:

რუსეთის ქმედება შევაფასე, როგორც იდიოტური, მერე დავიწყე ფიქრი, მაინც რატომ მოიქცნენ ასე... ცხადი იყო, რომ არაფერს კარგს ეს ყველაფერი რუსეთს არ მოუტანდა, მორალურ ასპექტებს რომ თავი დავანებოთ. მერე ვარაუდი შევიმუშავე, რომ შესაძლოა ვინმე ასტროლოგის, ექსტრასენსის ან ვიღაც მსგავსის გავლენით დაიწყო ეს კამპანია, რასპუტინის ტიპის გიჟის გავლენით (თბილისი, ♂).

ძალზე საინტერესოა სავარაუდო სიტუაციისადმი სხვადასხვანაირი ფსიქოლოგიური ადაპტაციის პროცესის დაწყების ორი მაგალითი:

როდესაც ცხადი გახდა, რომ თბილისისკენ მოდიან, ჩემთან ვინც ვიყავით, ვლაპარაკობდით, აი, მოვლენ თბილისში და მერე რა? აქაც რალაცნაირად ვიპოვეთ გამოსავალი. მოვიდოდნენ, დადგებოდნენ და მერე წავიდოდნენ, რას იზამდნენ... (თბილისი, ♂).

სულ რბილდებოდა რუსი ჩემთვის, ის ავტომატიანი და ყელის გამომჭრელი აღარ იყო... ამას ვეგუებოდი, ვეჩვეოდი (თბილისი, ♀).

ქმედებები

ცხადია, აგვისტოს ომმა მკვეთრად შეცვალა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ცხოვრების ჩვეული რიტმი. ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის რამდენიმე სტრატეგია გამოიკვეთა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საცხოვრებელ ადგილას დარჩენა არჩია, მათ შორის სამაჩაბლოს სოფლებში და სახლებში თუ ახლობლებთან დაძაბულად ელოდა მოვლენების განვითარებას. აქ მხოლოდ ერთი დრამატული მაგალითით შემოვიფარგლებით:

როცა ძალიან მძიმე და გამოუვალი მდგომარეობა დადგა, მამაჩემმა თქვა, მირჩევნია, ჩემს სახლში მოგვედგე, ვიდრე გავიდეო (კარაღეთი, ♀).

ტიპური და გასაგებია სხვაგან მყოფი ოჯახის წევრების სურვილი, შეერთებოდნენ ახლობლებს:

დედაჩემს რომ ველაპარაკე, მითხრა, რომ უკვე თბილისში შემოდიოდნენ და იხიცი თქვა, რა კარგია, შენ რომ აქ არ ხარო. ამაზე აღვშფოთდი და ვფიქრობდი იმაზე, როგორ მოვხვედრილიყავი თბილისში. გზა რადგან არ იყო, ვიფიქრე თურქეთში გადასვლა და იქიდან თბილისში ჩაფრენა (თბილისი, ♀).

ჩემი ძმა წავიდა თბილისში. მეუბნებოდა, ვინმეს გამოყევი და ჩამოდი თბილისშიო. მერე რალაც წუთებში შეიცვალა სიტუაცია და მოვიდა ინფორმაცია, რომ თბილისი უნდა დაიბომბოსო. ახლა მე დაეუწყე ჩემს ძმას რეკვა, ვეუბნებოდი, რომ პირიქით, ის ჩამოსულიყო ზუგდიდში (ზუგდიდი, ♀).

ოჯახური სტრატეგია, რომელსაც ჩემი ქმარი სახავდა, იყო ერთი, რაც თავისთვის გამოიკვეთა – ყველანი უნდა ვიყოთ ერთად (თბილისი, ♀).

მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა, იმპულსურად თუ გააზრებულად, ქალაქების დატოვება, სადმე გახიზვნა გადაწყვიტა ან მთელი ოჯახით, ან შეილებით. ზოგჯერ ამას პანიკის ელფერი ჰქონდა:

იმ წამსვე ვიღებ ფოტოაპარატს და მივდივარ პორტისკენ, მაგრამ იწყება სტიქიურად ფოთის დაცლა. მანქანები ერთმანეთს არ ატარებენ, ხალხი ქუჩაშია გამოსული. ბენზინგასამართებზე საერთოდ რა ხდებოდა, ვერ მოგვევები (ფოთი, ♂).

წინა დღით, შეიძლება ითქვას, ნახევარი კორპუსი დაცარიელდა, ძალიან დიდი იყო ხალხი გადინება თბილისიდან, არა მარტო იმ უბნიდან, სადაც მე ვიყავი იმ დროს, ვიცოდი, რომ სოლოლაკიდანაც ბევრი გავიდა. იყო დღე, როცა საშინელი დაძაბულობა და შემოსევა იყო მაღაზიებზე, გაიტანეს ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა (თბილისი, ♀).

თითქმის ყველა, ვისაც მანქანა ჰყავდა, სოფლებში გაიხიზნა. ვისაც არა, მათგან ბევრი იდგა ქუჩებში ჩანთებით და მანქანებს აჩერებდა. მანქანები არ უჩერებდნენ, საშინელი სანახავი იყო... ზოგი მიდიოდა ერევნისკენ, ზოგი – კახეთისკენ. რომ გეკითხათ, ვერც კი გაიპასუხებდნენ, რა უნდოდათ კახეთში. არადა, იქაც იყო დაბომბვები (ზუგდიდი, ♂).

ყველა ცდილობდა, ქალაქიდან გასულიყო სოფლად, სოფელი უფრო სანდოდ მიაჩნდათ. ასეთი სიტუაციების დროს ხომ დიდ ქალაქებზეა ძირითადი აქცენტები გადატანილი და ამიტომაც (♀, ბათუმი).

შვილების გაშვება საზღვარგარეთ იყო ბევრ ჩემს ნაცნობში. აიღეს ბილეთები, ზოგმა ვერ იშოვა. აეროპორტის თანამშრომლის თქმით, 25 000 იძლეოდნენ თურქეთის ბილეთისთვის და ვერ იშოვეს (თბილისი, ♂).

არცთუ ცოტა ჩვენი თანამოქალაქე აქტიურად ჩაერთო საქმიანობაში დევნილების დასახმარებლად.

როდესაც გამოცხადდა, რომ დევნილთა სამინისტროს ესაჭიროებოდა მოხალისეები, იქ გავეშურე... საოცარი განცდა დამეუფლა, რადგან უამრავი მოხალისე მიდიოდა. მიხაროდა, რომ ყველანი ერთად ვიყავით მზად დასახმარებლად და არ გავრბოდით ომის მიუხედავად... (თბილისი, ♀).

პირველივე დღიდან, რომ ჩამოვედი, ვთვლიდი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა; მინდოდა, რაღაცნაირად მეგრძნო, რომ ვარსებობ და მეც რაღაცნაირად ვმონაწილეობ. მივედი სოროსის ფონდში და გეკითხე ნაცნობებს, რას აკეთებდნენ. რაც შევძელი, იმას ვაკეთებდი. ფსიქოლოგიის ინსტიტუტშიც ვავეუკეთე მობილიზაცია, რომ ხალხი ჩართულიყო. ვავიგე, რომ იქ მიტანა შეიძლებოდა და ისინი გაანაწილებდნენ. მერე ლალი მირეკავდა, რაღაც აქციებს აწყოფდნენ... აქტივობის მოთხოვნილება და გეგმა მქონდა რაღაცნაირად. იმისთვის, რომ სრული ჩემი უსუსურობა ამაში ჩამედო... ყველაზე კარგად იმ დღეს ვიყავი, როცა რამეს ვავაკეთებდი ლტოლვილებისთვის (თბილისი, ♀).

მედია

შეხვედრების მონაწილეებს სპეციალურად ვთხოვდით, შეეფასებინათ ქართული მედია აგვისტოს ომის პერიოდში. უნდა ითქვას, რომ ბევრი მასალა ვერ მოვიპოვეთ. ამასთან, მედიის მუშაობა დადებითად პრაქტიკულად არავის შეუფასებია; აღინიშნა წამყვანი ტელეარხების მუშაკთა დაბნეულობა, ტენდენციურობა; ფოტის და ზუგდიდის ჯგუფებში განსაკუთრებით იჩინა თავი გაღიზიანებამ ტელევიზიის მიმართ; რამდენიმე მონაწილემ პირდაპირ მიუთითა ჟურნალისტების მიერ ფაქტების ფალსიფიკაციის შემთხვევებზე:

მე საერთოდ არ ვუყურებდი ტელევიზორს. არ ვენდობოდი იმას, რასაც ტელევიზორი გადასცემდა. მოსახლეობას უკვე აღარც სჯერა, სიმათლევ რომ გავიდეს ტელევიზიებით (ზუგდიდი, ♂).

რუსების ყოველი ნაბიჯი დამახინჯებულად, გაზვიადებულად გადმოიცემოდა ხოლმე (ფოთი, ♂).

ასევე იყო განცხადება გორის განადგურების შესახებ. მე მომიწია გორში წასვლა და ვნახე, რომ მხოლოდ რამდენიმე შენობა იყო დანგრეული (ზუგდიდი, ♂).

რუსები რომ წავიდნენ, ტელევიზიით გადაიკა, რომ აქა და აქ აღმოაჩინესო ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები. ეს ინტერვიუები ჩაიწერეს ჩემი სოფლის მეზობლებისაგან. სინამდვილეში ეს ნაღმები იყო სასწავლო, სადღაც თხრილში იყო გადაყრილი და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა. უბრალოდ, ხალხს ასე ათქმევინეს. ეგ ისეთივე ამბავია, რომ თქვეს, აფხაზებმა დაცხრილესო ავტობუსი და მიდიოდა ამის გადაღება. რა იცოდი, შე ოჯახაშენებულო, როდის დააყაჩაღებდნენ იმ ავტობუსს, სად მიუსწარი ამას?! სამარცხვინო არ არის?! (ზუგდიდი, ბ).

ჩვენმა ჟურნალისტმა გააკეთა სიუჟეტი, რომელშიც ხალხი ამბობს, რომ ისინი აფხაზებმა გამოყარეს სოფლიდან. სოფელ ზედა ეწერში ცხოვრობს ჩემი ახლობელი, მან იცნო თავისი სოფლის ერთ-ერთი შენობა. ხალხს ალაპარაკებდნენ, რომ თითქოს აფხაზეთში რაღაც მოხდა – სინამდვილეში კი სიუჟეტი იყო გადაღებული სოფელ ეწერში (ზუგდიდი, ბ).

რუსები, ოსები, კაზაკები...

ოსების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ისიც არცთუ მკვეთრი ფორმით, გამოვლინდა მხოლოდ სამაჩაბლოდან დევენილებში:

ოსურ არხზე ერთი ქალბატონი გამოვიდა, მასწავლებელი, გვარი ნამდვილად არ მახსოვს, ცხინვალის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლიდა და ზუსტად აი ეს სიტყვები თქვა: *рыжикские фашисты*. ნამდვილად მშვიდობის მომხრე ვარ, მაგრამ იმდენად ამეშალა იმ ქალბატონზე ნერვები, მე თვითონაც მასწავლებელი ვარ და არასოდეს არ მითქვამს არც ოს ბავშვებთან და არც ქართველებთან, რომ ისინი არიან ერთმანეთის მტრები (კარალეთი, ♀).

ესენი იყვნენ შემოსულები, შემოცვენილები ჯავიდან და როკიდან და რა ვიცი, მთის ოსები იყვნენ შემოსულები. გაძარცვავდნენ და წაიღებდნენ. ზოგი არც ძარცვავდა, ეგრევე ცეცხლს უკიდებდნენ და ყველაფერს შიგ წვავენ (კარალეთი, ♀).

ამასთან, ოსი ერის მიმართ მტრული დამოკიდებულება პრაქტიკულად არ გამოთქმულა, პირიქით, რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ ოსებთან საერთო ენის გამონახვა სავსებით შესაძლებელია.

ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ ჩვენს მთავრობებს არ უნდათ, რომ მოავგარონ ერთმანეთში სიტუაცია, თორემ ხალხი ყოველთვის გამონახავს საერთო ენას (კარალეთი, ბ).

- რომ დაბრუნდეთ, ოსებთან ერთად შეძლებთ ცხოვრებას?
- ისინი ზემოდან დაგვიწყებენ ცქერას. ისე კი გვინდა.
- რამე სიძულვილი გაქვთ?
- სიძულვილი არა.
- ზემოდან რატომ დაგვიწყებენ ყურებას? გიცქერდნენ ოდესმე ასე?
- ადრე არა, არავის უთქვამს, რად ჩამოდიხარ ცხინვალში, შენ ქართველი ხარო, მაგრამ, მერე უკვე... (კარალეთი, ბ).

ერთად ცხოვრება შესაძლებელია და იმიტომაც შესაძლებელი, რომ არც ერთი ქართული ოჯახი არ არის, რომ ოსი ნათესავი არა ჰყავდეს, ან რძალი უნდა ყოფილიყო, ან სიძე იქნებოდა, ან ვიღაცა, არ იქნებოდა ისეთი საახლობლოში, რომ ოჯახში ქართველი არა ცხოვრობდა და ოსი არა ცხოვრობდა (კარალეთი, ბ).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ოსური მხარე ქართულ საზოგადოებრივ აზრში არ წარმოადგენს დამოუკიდებელ აქტორს არც აგვისტოს ომში, არც, როგორც ამას სხვა გამოკვლევები აჩვენებს, კონფლიქტში საერთოდ. სხვათა შორის, ეს გარემოება თვით

ოსებში გაღიზიანებას იწვევს (ამას ვამბობ, როგორც ქართულ-ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების რამდენიმე შეხვედრის მონაწილე - გ. ნიჟარაძე). ოსური ვერსიით, მთავარი აქტორი სწორედ ოსი ხალხია, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, რუსეთი კი ამ ბრძოლაში მხოლოდ ძლიერი მოკავშირის როლს ასრულებს, როგორც აშშ - საქართველოსათვის.

თქმა არ უნდა, რომ საქართველოში კონფლიქტის მთავარ აქტორად რუსეთი აღიქმება. ამასთან, რუსეთისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მრავლად გვხვდება მკვეთრი გამონათქვამები; ზოგი მათგანი უკვე მოვიყვანეთ, აი, კიდევ რამდენიმე:

ვერ წარმოვიდგენდი ვერასოდეს, რომ ასე შემძულდებოდა ერი, როგორც რუსები შემძულდა. ეს კლასიკური სქემაა, როცა რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითისკენ ან დადებითისკენ იწვევს და მერე ნელ-ნელა ბრუნდება, მაგრამ იმავე დონეზე არ მიდის, რაც იყო (თბილისი, ♀).

ესენი რომ აქ იდგნენ, ღირსებაშელახულად მიმაჩნდა თავი და, მე მგონია, უმრავლესობა ასე ფიქრობდა. შემოვდივარ ჩემს ქალაქში და დვას რუსის ჯარი, ოკუპირებული ვარ... (ფოთი, ♀).

ამგვარ გამონათქვამებთან ერთად საკმაოდ მრავლად გვხვდება სხვაგვარებიც, რომლებშიც გამოხატულია ან უშუალოდ შეხვედრის მონაწილის პოზიცია, ან მის მიერ სხვებისაგან გაგონილი შეხედულებები და ეს შეხედულებები რუსეთის მიმართ, სულ ცოტა, არამტრულია. ამას ახსნა სჭირდება.

რუსეთისა და საქართველოს ორასწლიან თანაარსებობას რუსულ-საბჭოთა სახელმწიფოში, როგორც არ უნდა ვაფასებდეთ საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს, უკვალოდ არ ჩაუვლია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბევრისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ვერ მოახერხა კარგი ადაპტირება დამოუკიდებელ საქართველოში, საბჭოთა პერიოდი ასოცირებულია საკმაოდ უზრუნველ ცხოვრებასთან, რომლის გარანტი სწორედ რუსეთი იყო. საფიქრებელია, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია არ აღიქმება, როგორც კატასტროფა, რაც რამდენიმე ფაქტორითაა განსაზღვრული. ერთი, ესაა რუსებთან ურთიერთობის გამოცდილება, ჩვევები და სტერეოტიპები (ამგვარი ტიპისა: “რუსს ერთი დააღვინე და შენია...”). ამას უკავშირდება მეორე ფაქტორი, რომელზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი - მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არსებობს რუსეთის სტერეოტიპი, როგორც უძლეველი “სტიქისა”, რომელთანაც ბრძოლას აზრი არა აქვს, მაგრამ მასთან გარიგება კი შეიძლება. გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ, როგორც ამას ბევრი მონაწილე აღნიშნავს რუსეთის მიმართ დამოკიდებულების მიუხედავად, რუსი სამხედროები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობას კორექტულად ექცეოდნენ (თუმცა აქ ერთი მომენტი ალსანიშნავი: რამდენიმე მონაწილის თქმით, სამეგრელოში რუსეთის მიმართ დამოკიდებულება საგრძნობლად გაუარესდა მას მერე, რაც რუსებმა ვერტმფრენიდან გადმოყარეს ანტიქართული, მეგრულ-სეპარატისტული ხასიათის პროკლამაციები). ამასთან, საინტერესოა, რომ რუსი სამხედროების ქცევის შეფასება სამაჩაბლოს ტერიტორიაზე წინააღმდეგობრივია:

თუ მოხდებოდა, რომ ქართველები პასუხს ვასცემდნენ, იმ შემთხვევაში რუსები ჩაეროდნენ. მაგრამ თუ ოსი ან მოიპარავდა, ან ვიღაცას ესროდა ან მოკლავდა, გაჩუმიდებოდნენ (კარაღეთი, ♀).

რუსები არ ძარცვავდნენ და ვინც ძარცვავდა, რუსები იმ ოსებს ხოცავდნენ. აი, მანქანაზე რომ რამეს შეამჩნევდნენ, ბარგი თუ მიჭონდა, იმ ოსებს ხოცავდნენ (კარაღეთი, ♂).

მოგვყავს ოკუპანტების მიმართ შემგუებლური ქმედებებისა და შეხედულებების მაგალითები:

ვარ ზესტაფონში, მოვიდა ვიღაც სოფლის მაცხოვრებელი და ამბობს, რომ ქუთაისში უკვე რუსის ტანკები შემოვიდნენ და ხალხი სიხარულით ხვდებოა. მას, რა თქმა უნდა, დასცინეს, რას ბოდავო, თუმცა ის მაინც არ იშლიდა და სხვამ კი ისიც დაამატა, რომ თავის გადარჩენისთვის თვითონაც ასე მოიქცეოდა (თბილისი, ♀).

მე დავინახე კაპიტულანტური დამოკიდებულება საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან, განსაკუთრებით როცა რუსები ივოეთთან იდგნენ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხალხი ხვდებოდა და საჭმელს აწვდიდა რუს ჯარისკაცებს, ასწავლიდნენ ქართველი ჯარისკაცების მისამართებს და ტყვია-წამლის ადგილსამყოფელს. ხალხი ელოდებოდა, როდის შემოვიდოდნენ და დაამხოებდნენ მთავრობას (თბილისი, ♂).

რუსული არმია თავის თავს “გამათავისუფლებელ არმიას” უწოდებდა, აქ რომ შემოვიდა, ყოველთვის ასე უწოდებდა. მათ თითქოს გარკვეული საზოგადოებრივი მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ასეთი შთაბეჭდილება დავგრძეობ და ესაა ყველაზე ცუდი (ფოთი, ♂).

შესაძლოა, ასეც მომხდარიყო: რუსეთი შეცვლიდა მთავრობას და დასვა მადლი გიორგაძეს. დადიოდა ასეთი ჭორები, თითქოს გიორგაძე აფხაზეთში იყო და ემზადებოდა შემოსვლისთვის. ამბობდნენ, ყოველ საღამოს გადმოდიხარ (ზუგდიდი, ♂).

ერთი ქალბატონი მირეკავს ნაბადიდან, უნარშეზღუდული ბავშვის დედაა, ვერ გავიგო რა უნდათ ამ რუსებთან, შემოვიდა ეხლა, საჭმელი ვაჭამე, ორი კოლოფი სიგარეტი ვუყიდე, წავიდა და არაფერი უთქვამსო. ქალიშვილი ხო გყავს სახლში, ეგეც გააყოლე-მეთქი და საერთოდ არაფერს გეტყვის, ჩაგეხუტება და წავა... (ფოთი, ♂).

ოთხი რუსი ჯავშანმანქანით წყლის დასალევად გაჩერებულა კინოთეატრთან, საერთოდ არ ყოფილან აგრესიულები, პირიქით, დაუცველების შთაბეჭდილებაც კი დაუტოვებიათ. იმდენად უმწუოდ გამოიყურებოდნენ, რომ საერთოდ არ ჰგავდნენ დასაპყრობად მოსულ ხალხს. დაცვის ბიჭებს სურვილი გასჩენიათ, საკვებით გამასპინძლებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ გამასპინძლებიან. ჩვენებს უთქვამთ, ომი არ გვინდაო, იმათ უპასუხიათ, ომი არც ჩვენ გვინდაო (ზუგდიდი, ♀).

ნაწილი ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კოლხები ვართ, ძალიან კარგი იქნებოდა რუსების შემოსვლა. კარგად ვიყავით მათთანო. ძალიან ძველმოდური შეხედულებებია (ზუგდიდი, ♀).

რუსებმა რომ დაიკავეს მთელი დასავლეთი საქართველო, ამან გამოიწვია აფხაზეთის, მაროდიორების და სხვა ამგვარი საფრთხის შეჩერება. ერთი სიტყვით, რუსეთის რევულარულმა ჯარმა დაგვიცვა მაროდიორობისაგან (ზუგდიდი, ♂).

რუსების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების საპირისპიროდ, კაზაკებისადმი დამოკიდებულება ცალსახაა – დომინირებს შიში და სიძულვილი, განსაკუთრებით სამაჩაბლოდან დევნილებში, რომელთაც მათთან უშუალო შეხება ჰქონდათ:

შეიძლება, უბრალოდ ჩემი სტერეოტიპია, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, ოღონდ კაზაკი ან ჩრდილო კავკასიელი არ შემეჩხვოს და რუსი უფრო ნორმალურია, ისეთი საშიში არ არის (თბილისი, ♀).

ისინი იყვნენ შავი კაზაკები, იმათი სული მოასპო ღმერთმა, ღმერთო მაპატიე, რომ დავიწყველე... ვისაც ასწრებდნენ, ხოცავდნენ (კარაღეთი, ♀).

...სამი დღის შემდეგ თქვეს, უკვე კაზაკები და რუსები შემოდიანო, წადითო, ნულა დარჩებითო. უკვე ამათაც იფიქრეს, რაღა აზრი ჰქონდა დარჩენას, შეეშინდათ, კაზაკებზე ისეთი საშინელებები ჰქონდათ გავონილი (კარაღეთი, ♀).

...ჩვენთანაც ბევრი ოსი ცხოვრობდა და რომ შემოვიდნენ კახაკები, თვითონაც შეეშინდათ, თავიანთი ცოლებისთვის, დედებისთვის არაფერი ეკადრებინათ; ზოგი ჩემთან ერთად წამოვიდა და ვიყავით დევნილები. საერთოდ, უსუსურები იყვნენ, თვითონაც დაუცველები აღმოჩნდნენ. მერე დაბრუნდნენ ჩვეულებრივ.

რუსი ქალი იყო ერთი, ერედვში, მარია ერქვა, ეგონა, რომ რუსი შემოვა და არაფერს მეტყვიანო, მაგრამ ისე ცემეს, რა ვიცი, რუსი იყო, კახაკი იყო, კი ცემეს და... რუსების არც მაშინ მეშინოდა და არც ახლა მეშინია, მგონია, კულტურული ხალხია რუსები-მეთქი, მაგრამ კახაკების მეშინია რაღაც სასწაულად (კარაღეთი, ♀).

ბოლოთქმა

გამოყენებულმა ხარისხობრივმა მეთოდებმა საკმაოდ მდიდარი სურათი მოგვცა. მთელ საქართველოზე მისი განზოგადება, რასაკვირველია, უმართებულო იქნებოდა, მაგრამ მაინც ვთვლით, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის ძირითადი თემატიკა ჩვენს მასალებში მეტ-ნაკლებად სრულადაა წარმოდგენილი.

ცალკე უნდა გამოიყოს სამაჩაბლოდან დევნილი პირებისაგან დაკომპლექტებული ფოკუს-ჯგუფების მასალა. აქ გამოთქმული მოსაზრებები ერთგვაროვანია და უადრესად დამთრგუნველი. უბრალო გლეხებს, რომლებსაც წლების განმავლობაში “ნახევრად ომის” სიტუაციაში უხდებოდათ ცხოვრება, რომლებმაც მოახერხეს ამ უმძიმესი პირობებისადმი რაღაცნაირი ადაპტაცია, თავს სრული კატასტროფა ატყდებათ – “ვიღაცების” მიერ ატეხილი “ნამდვილი” ომი, მშობლიური მიწიდან აყრა, გაურკვეველი მომავალი და თანმდევი ფსიქოლოგიური პრობლემები – დეპრესია, უიმედობა, რომელთა ფონზე ადგილი აღარ რჩება რეფლექსიისა და ანალიზისათვის...

